საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2557 2018 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ცალკეული პირის თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების საგამონაკლისო წესის დადგენაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, დაადგინოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების საგამონაკლისო წესი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 3 იანვრიდან.

№1

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგოს განსხვავებული ტარიფი

N	დასახელება	ღირებულება ლარებში	შენიშვნა
1	საერთაშორისო კონსულტანტი სკოლის შეფასების მიმართულებით	დღეში 1900 ლარი	დღიური ანაზღაურება (ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულია გაეროსა და მსოფლიო ბანკის სტანდარტული განაკვეთების მიხედვით და კონსულტანტის კვალიფიკაციით) (დასაქმების ხანგრძლივობა: არაუმეტეს 30 სამუშაო დღე)